

# მეათე მოწვევის პარლამენტის საქმიანობის ანგარიში

(2020 წლის 11 დეკემბერი - 2021 წლის 31 დეკემბერი)

საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

კვლევის ხელმძღვანელი:

**ლიკა საჯაია**

წამყვანი მკვლევარი:

**თამარ ტატანაშვილი**

მკვლევარი:

**გიგი ჩიხლაძე**

**კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სტაჟიორებს: სოფიო ლეჟავას, ლუიზა ლომინაშვილს, ნია ტურაშვილს, ნიკა ახალაიას, თორნიკე ჯინჭარაძეს.**

კვლევა მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) შეხედულებებს.

Sweden/შვედეთი
Sverige

# სარჩევი


**კვლევის მეთოდოლოგია** 5

**თავი 1. ძირითადი მიგნებები** 5

**თავი 2. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის შესახებ** 8

**თავი 3. ზოგადი სტატისტიკა** 9

**თავი 4. მნიშვნელოვანი მოვლენები** 9

4.1 19 აპრილის პოლიტიკური პარტიების შეთანხმების შეუსრულებლობა 9

4.2 მოსამართლეების არჩევა 10

4.3 ცვლილებები პარლამენტის შემადგენლობაში 10

**თავი 5. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები** 10

5.1 პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები 10

5.2 პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს 11

5.3 ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებები 12

**თავი 6. კანონშემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა და შეფასება** 13

**თავი 7. საპარლამენტო კონტროლი** 14

7.1 მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება 14

7.2 პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება 14

7.3 თანამდებობის პირთა არჩევა (დანიშვნაზე თანხმობის მიცემა) 14

7.4 პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა პლენარულ სხდომაზე და ინტერპელაცია 15

7.5 მინისტრის საათი 15

7.6 პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა კომიტეტის სხდომაზე 16

7.7 პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ანგარიშის მოსმენა 17

7.8 პარლამენტის წევრის კითხვა 17

7.9 დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა 19

7.10 კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლი 19

7.12 სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი 20

7.13 ნდობის ჯგუფი 21

7.14 თემატური მოკვლევა 21

**თავი 8. ქალების მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში** 21

**თავი 9. პარლამენტის საბჭოებისა და კომისიების საქმიანობა** 22

**თავი 10. პარლამენტის წევრთა აქტივობა** 24

10.1. ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები 24

10.2 მიღებული კანონების რაოდენობა 25

10.3 სიტყვით გამოსვლის რაოდენობა 26

10.4. პარლამენტის წევრების შენიშვნები კანონპროექტების შესახებ 28

**თავი 11. პარლამენტის წევრების მონაწილეობა პლენარული სხდომებისა და კომიტეტების სხდომების მუშაობაში, მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი** 28

11.1 პლენარული და კომიტეტების სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა 28

11.2 დისციპლინური პასუხისმგებლობა 29

**თავი 12. პარლამენტის კომიტეტების საქმიანობა** 29

დანართი. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობა 30

# კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს X მოწვევის პარლამენტის პირველი წლის (*2020 წლის 11 დეკემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე*) საქმიანობის შეფასება ეფუძნება ჩვენი ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისის თანამშრომლების მიერ მოკვლეული ინფორმაციის ანალიზს, პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და პარლამენტის მიერ ჩვენი ორგანიზაციისთვის მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს.[1]

# თავი 1. ძირითადი მიგნებები

- X მოწვევის პარლამენტის საქმიანობის პირველი წელი პოლიტიკურად დაძაბული აღმოჩნდა, უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, ოპოზიცია პროტესტს აცხადებდა პარლამენტში შესვლასა და მანდატის გამოყენებაზე. პოლიტიკურ დაძაბულობას თან დაერთო კორონავირუსის პანდემია და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც უარყოფითად აისახა პარლამენტის საქმიანობაზე;

- ქვეყნისთვის კრიზისულ ვითარებაში პარლამენტმა ვერ შეძლო ეფექტურად განეხორციელებინა საპარლამენტო კონტროლი; ოპოზიცია, მეტწილად, ბოიკოტის რეჟიმში ყოფნის გამო, სრულფასოვნად არ იყო ჩართული პარლამენტის საქმიანობაში. პარლამენტმა არ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, მათ შორის 19 აპრილის პოლიტიკური პარტიების შეთანხმებით გათვალისწინებული, რომელიც ეხებოდა პარლამენტში ძალაუფლების განაწილებას და ხელს შეუწყობდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

- საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა სამი თავმჯდომარე შეიცვალა.

### პარლამენტის წევრთა აქტიურობა (სტატისტიკური მონაცემები)

- საკანონმდებლო ინიციატივის უფლება[2] არ გამოიყენა პარლამენტის 53-მა წევრმა;

- სიტყვით გამოსვლის უფლებით არ ისარგებლა პარლამენტის 21-მა წევრმა;

- საანგარიშო პერიოდში პარლამენტის 12 წევრს (აქედან, 11 ოპოზიციას წარმოადგენს, 1 - უმრავლესობას) არც სიტყვით გამოსვლის უფლებით უსარგებლია და არც საკანონმდებლო ინიციატივა წარუდგენია;

- საზღვარგარეთ მივლინებებში პარლამენტის 47 წევრზე დაიხარჯა 766,860.60 ლარი;

- პარლამენტის 59 წევრს, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველზე, ხელფასიდან საერთო ჯამში დაუკავდა 1105617.42 ლარი.

***ძირითადი გამოწვევები***

### პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება და პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობა

- ყველა კომიტეტის თავმჯდომარე უმრავლესობის წარმომადგენელია. არ შესრულდა 19 აპრილის პოლიტიკური პარტიების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტის საქმიანობაში ოპოზიციის როლის გაძლიერებას;

- რეგლამენტით არ განისაზღვრა ოპოზიციის სათანადო ჩართულობის გარანტიები და სავალდებულო კონსულტაციის გავლის ვალდებულება თანამდებობის პირთა არჩევის პროცესში, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას წარმოადგენს;

- ოპოზიცია სრულფასოვნად არ იყო ჩართული პარლამენტის საქმიანობაში, რადგან, მეტწილად, ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდა.

---

1 ანგარიშში პარლამენტის წევრის თანამდებობა და ფრაქციის, პოლიტიკური ჯგუფის წევრობა მოცემულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2 წარმოდგენილ სტატისტიკაში არ იგულისხმება საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ 2 ინიციატივა, რომელთა ინიციატორები იყვნენ პარლამენტის 85 წევრი, ხოლო მეორე შემთხვევაში, პარლამენტის 91 წევრი.

### *საკანონმდებლო პროცესი*

- ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებთან დაკავშირებული კანონპროექტების განხილვისას პარლამენტი არ უზრუნველყოფდა სამოქალაქო საზოგადოების და ექსპერტების ჩართულობას;

- გაგრძელდა კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვის პრაქტიკა, რა დროსაც არ ხდებოდა სათანადო დისკუსია და/ან შინაარსობრივი განხილვა, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის რეფორმა. დაჩქარებული წესით პარლამენტმა 95 კანონის პროექტი მიიღო;

- ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა არ მომხდარა ან არგუმენტაციის გარეშე შეჩერდა, მაგალითად: საკანონმდებლო პაკეტი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის შესახებ, კანონპროექტი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ" და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონში ცვლილებები;.

კანონპროექტების განხილვის ვადის გაგრძელებამ სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც აზიანებს ეფექტურ საკანონმდებლო პროცესს; საანგარიშო პერიოდში სულ **46** საკანონმდებლო პაკეტთან (242 კანონის პროექტი) დაკავშირებით, ვადის გაგრძელება **94**-ჯერ იქნა გამოყენებული; საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტჯერ (5-ჯერ) გაუგრძელდა განხილვის ვადა საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს და აღსრულების კოდექსს;

- პრობლემას წარმოადგენდა მიღებული კანონების დროულად ამოქმედება, მაგალითად, უნდა აღინიშნოს *„საჯარო სამსახურის შესახებ"* კანონი, რომლის ცალკეული ნორმების ამოქმედება 5-ჯერ გადავადდა. კანონის ამოქმედების გადავადება 22 კანონის პროექტზე განხორციელდა;

- პარლამენტმა 2021-შიც არ მიიღო კანონპროექტის ფინანსური გავლენის მეთოდოლოგია, რაც მნიშვნელოვნად დახვეწდა განმარტებითი ბარათის შევსების ხარისხს და შესაბამისად - საკანონმდებლო პროცესს;

პარლამენტის ბიუროს წარედგინა 122 საკანონმდებლო წინადადება. აქედან, 7 კომიტეტებმა მოიწონეს,[3] მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელისშემშლელია და რომელთა ავტორებიც ლიბერალი ჯგუფების მიმართ რადიკალური რიტორიკით გამოირჩევიან.

### *საპარლამენტო კონტროლი*

- მთავრობის წევრები და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა თანამდებობის პირები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდნენ პარლამენტის მიერ კონტროლის განხორციელებას; მაგ., მინისტრები დროულად და სრულად არ პასუხობდენ სადეპუტატო კითხვებს, არ ესწრებოდნენ ოპოზიციური ფრაქციების მოწვევით კომიტეტის სხდომებს. პასუხი არ გაეცა **256** სადეპუტატო კითხვას, რომელთა უმეტესობის ავტორი ოპოზიცის წარმომადგენელი იყო. ოპოზიციურმა ფრაქციებმა ანგარიშვალდებული პირები კომიტეტის სხდომაზე **12**-ჯერ დაიბარეს და მოსმენა არცერთ შემთხვაში არ შედგა;

- საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები ეფექტურად არ ყოფილა გამოყენებული, როგორც უშუალოდ პანდემიის მართვის პროცესთან, ასევე თანმდევ ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: კორუფციის რისკები პანდემიის დროს, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. არ გამართულა ინტერპელაცია, შემცირდა თანამდებობის პირების დაბარება, ეფექტურად არ მომხდარა ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი, ანგარიშების განხილვის ვადები ხშირად ირღვეოდა, კერძოდ, პარლამენტში სულ **21** ანგარიში შევიდა, მათგან **10** ანგარიში, საანგარიშო პერიოდში, ჯერ კიდევ განუხილველი იყო;

- უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი კვლავ სუსტი და არაეფექტური იყო, რის მიზეზსაც წარმოადგენდა როგორც არასათანადო საკანონმდებლო გარანტიები, ასევე პრაქტიკაში არსებული პრობლემები, მაგ., ვერ მოხდა ნდობის ჯგუფის სრულად დაკომპლექტება, რის შედეგადაც ოპოზიცია არ მონაწილეობდა ნდობის ჯგუფის საქმიანობაში.

### **პარლამენტის ანგარიშვალდებულება და ღიაობა**

- კვლავ პრობლემას წარმოადგენდა მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის პარლამენტის შენობაში შესვლა. პარლამენტის შენობაში შესვლასა და კომიტეტის სხდომაზე დასწრებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლად, მხოლოდ პარლამენტის უსაფრთხოების წესებზე ზოგადი მითითებით ხდებოდა;

- ეთიკის კოდექსის მიღების მიუხედავად, დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ეთიკის საბჭოს შემადგენლობა. შედეგად, ვერ ხდება ეთიკის კოდექსის მოთხოვნების აღსრულება;

3 მონაცემები ეფუძნება პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას.

- მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ახალი ვებგვერდი ამოქმედდა, დახვეწას საჭიროებს ვებგვერდზე ცალკეული ხასიათის ინფორმაციის მოძიება და განთავსება (მაგალითად, კანონმდებლობის საძიებო სისტემის გამარტივება, კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებული პირის გამოუცხადებლობის მიზეზის მითითება, თემატური მოკვლევის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირებული და სრული სახით განთავსება, საპარლამენტო კონტროლის განყოფილებაში ინტერპელაციის შესახებ ინფორმაციის განთავსება, საჯარო სახსრების მართვის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირებული სახით განთავსება ), ასევე, ვებგვერდი უფრო ინტუიტიური და მომხმარებლისთვის საინტერესო შეიძლება გახდეს;

- კვლავ პრობლემას წარმოადგენდა საპარლამენტო კომიტეტებიდან და პარლამენტის მაჟორიტარ წევრთა ბიუროებიდან ზუსტი და დროული ინფორმაციის მიღება.

## რეკომენდაციები

საპარლამენტო რესპუბლიკაში, საკანონმდებლო ორგანოს როლი, როგორც კანონშემოქმედებით, ისე ზედამხედველობის ფუნქციის გათვალისწინებით, განუზომლად დიდია. აქედან გამომდინარე, პარლამენტი, ყველა არსებული მექანიზმით, აქტიურად უნდა ახორციელებდეს კანონით დაკისრებულ ფუნქციებს.

პარლამენტმა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება როგორც საკანონმდებლო პროცესის, ასევე საპარლამენტო კონტროლის დროს.

### პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება და პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობა

- უმნიშვნელოვანესია 19 აპრილის პოლიტიკური პარტიების შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების, კერძოდ, ოპოზიციის როლის გაძლიერებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება;

- რეგლამენტით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საპარლამენტო თანამდებობებზე არჩევის პროცესში ოპოზიციის სათანადო მონაწილეობა და ოპოზიციის წევრების მიერ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავება, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას წარმოადგენს;

- ოპოზიცია სრულფასოვნად უნდა იყოს ჩართული პარლამენტის საქმიანობაში. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნისას, პოლიტიზირებული გადაწყვეტილების თავიდან ასაცილებლად, სავალდებულო უნდა იყოს ოპოზიციურ ფრაქციებთან კონსულტაცია და რეგლამენტში უნდა გაიწეროს მათთან კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების წესი.

### საკანონმდებლო პროცესი

- პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, საკანონმდებლო პროცესი შეუფერხებლად უნდა მიმდინარეობდეს და მასში ჩართული იყოს უმრავლესობაც და ოპოზიციაც;

- მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტების განხილვა რეგლამენტით დადგენილ ვადაში ხორციელდებოდეს და არ ხდებოდეს კანონპროექტების განხილვის ვადის არგუმენტაციის გარეშე გაგრძელება;

- განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, არ უნდა ხდებოდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების დაჩქარებული წესით (ერთ კვირაში სამი მოსმენით) განხილვა. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და ექსპერტთა ჩართულობა;

- მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს კომიტეტების მიერ წარდგენილი ანგარიშების ფორმატი. კომიტეტების ანგარიშების ფორმა, ასევე, მიზანშეწონილია, მოიცავდეს: რეკომენდაციების და კომიტეტის მიერ კანონპროექტებზე გამოთქმული შენიშვნების (ასევე მათზე რეაგირების) შესახებ, როგორც სტატისტიკურ, ისე განზოგადებულ, შინაარსობრივ ინფორმაციას; კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებული პირების დაბარების შესახებ, მათ შორის, ანგარიშვალდებული პირების არგამოცხადების მიზეზის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას;

- პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონპროექტების ფინანსური ნაწილის შეფასების მეთოდოლოგია, რაც აუცილებელია საკანონმდებლო პროცესისთვის და, ამასთან, კანონით დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენს. ასევე, ბიურომ უნდა დაამტკიცოს განმარტებითი ბარათის შევსების სახელმძღვანელო.

### საპარლამენტო კონტროლი

- საპარლამენტო ზედამხედველობის როლის ჯეროვნად შესრულებისთვის, აუცილებელია, პარლამენტმა მაქსიმალურად გამოიყენოს რეგლამენტით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენება ქვეყანაში არსებულ კრიზისულ ვითარებაში;

- ანგარიშვალდებული ორგანოები და მთავრობის წევრები პარლამენტს ხელს უნდა უწყობდნენ კონტროლის სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელებაში, კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ კონსტიტუციითა და რეგლამენტით გაწერილ საპარლამენტო კონტროლის პროცედურებს (მაგ., პლენარული სხდომის წინაშე წარდგომა არ უნდა გამოიყენებოდეს კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო წესით მიწვევისგან თავის არიდების საშუალებად; დროულად და სრულყოფილად უნდა სცემდნენ პასუხს სადეპუტატო კითხვებს და ა.შ.);

- აუცილებელია გაძლიერდეს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი. ნდობის ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს სრულად და ოპოზიციურ ფრაქციებს უნდა მიეცეთ რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურებით ნდობის ჯგუფში გაწევრიანების საშუალება;

- თემატური მოკვლევის ჯგუფი აქტიურად უნდა ახორციელებდეს ანაგრიშვალდებული პირების მიერ რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობას.

**პარლამენტის ანგარიშვალდებულება და ღიაობა**

- პარლამენტის შენობაში შესვლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, არ ხდებოდეს პირთათვის დაუსაბუთებლად უარის თქმა, რასაც, საანგარიშო პერიოდში, არაერთხელ ჰქონდა ადგილი. სასურველია, გადაიდგას ნაბიჯები პარლამენტში მოქალაქეების შესვლის ღიაობის მაღალი სტანდარტის დაწესების (საშვების სისტემის გაუქმების) მიმართულებით;

- ეთიკის კოდექსის ამოქმედების მიზნით, პარლამენტმა დროულად უნდა შეძლოს ეთიკის საბჭოს დაკომპლექტება;

- საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კონტროლის შედეგები და მასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების სხდომებზე მიწვევის შესახებ ინფორმაცია, პერიოდულად უნდა ქვეყნდებოდეს პარლამენტის ვებგვერდზე.

# თავი 2. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის შესახებ



30-ვე სამაჟორიტარო ოლქში კი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს კანდიდატები გავიდნენ.

საბოლოოდ, „ქართული ოცნება"-მ, პროპორციული და მაჟორიტარული წესით, მე-10 მოწვევის პარლამენტში, **90** მანდატი მოიპოვა.

2021 წლის თებერვალში უმრავლესობის 6 დეპუტატი ოპოზიციაში გადავიდა.[4] ოპოზიციიდან 2 მანდატი გაუქმდა (ნიკანორ მელია, მამუკა ხაზარაძე), ვინაიდან მათი უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისთვის საარჩევნო სიები ჩახსნილი იყო და ადგილმონაცვლეობა ვერ განხორციელდებოდა.

საბოლოოდ, 2021 წლის ბოლოს, პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდა **84** დეპუტატი, ხოლო ოპოზიციას - **64**.

# თავი 3. ზოგადი სტატისტიკა













## ბოიკოტი

- **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" - 26 სხდომა**
- **თამარ ჩარკვიანი - 23 სხდომა**
- **თამარ კორძაია - 23 სხდომა**
- **„ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის"- 16 სხდომა**
- **დავით ბაქრაძე - 16 სხდომა**

# თავი 4. მნიშვნელოვანი მოვლენები

## 4.1 19 აპრილის პოლიტიკური პარტიების შეთანხმების შეუსრულებლობა

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს მწვავე პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა. 11 დეკემბერს, X მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის პარალელურად, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ ხელი მოაწერა მემორანდუმს მანდატების

4 2021 წლის თებერვალში ცვლილებები გახარიას გადადგომის შემდეგ, პარლამენტში უმრავლესობა დატოვა 6-მა დეპუტატმა (გიორგი ხოჯევანიშვილი, ანა ბუჩუკური, ალექსანდრე მოწერელია, ბექა ლილუაშვილი, შალვა კერესელიძე, მიხეილ დაუშვილი), ისინი ყოფილი პრემიერ-მინისტრის პარტიას შეუერთდნენ.

გაუქმებაზე. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის მიზნით, მედიაციაში პირადად ჩაერთო ევროპული საბჭოს პრეზიდენტი - შარლ მიშელი, რომელმაც 19 აპრილის პოლიტიკური პარტიების შეთანხმების დოკუმენტი წარადგინა, რომელიც ითვალისწინებდა 5 ძირითად მიმართულებას, ერთ-ერთი პარლამენტში ძალაუფლების გადანაწილების საკითხიც იყო. აღნიშნული ვალდებულებები პარლამენტს არ შეუსრულებია.

2021 წლის ივლისში უმრავლესობამ და ოპოზიციამ წარადგინეს საკონსტიტუციო ცვლილებები, როგორც უთითებდნენ, მისი მიღება უზრუნველყოფდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ 19 აპრილს შემოთავაზებული შეთანხმების დებულებების ასახვას საქართველოს კონსტიტუციაში.[5]

აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა შეჩერებულია.

## 4.2 მოსამართლეების არჩევა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის პირველი ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობისთვის 9 კანდიდატი შეირჩა. 12 ივლისს პარლამენტმა წარდგენილი 9 კანდიდატიდან 6-ს მხარი დაუჭირა. კანდიდატები პარლამენტში გაუმჭვირვალედ და ნაჩქარევად იქნენ დამტკიცებულნი, ოპოზიციის მონაწილეობის გარეშე. აღნიშნულ ფაქტს უარყოფითი საერთაშორისო შეფასებები მოჰყვა. მიუხედავად ამისა, მოსამართლეების არჩევის პროცესი კვლავ გაგრძელდა პარლამენტში.[6]

## 4.3 ცვლილებები პარლამენტის შემადგენლობაში

| | |
|---|---|
| **51 ოპოზიციონერმა დეპუტატმა პარლამენტს მიმართა უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით** | **2 თებერვალს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა** |
| ზურაბ ჯაფარიძემ, თამარ კორძაიამ და ელენე ხოშტარიამ მანდატების შენარჩუნების გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს.[7] | |
| **52 ოპოზიციონერმა დეპუტატმა პარლამენტს მიმართა უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით** | **18 ივლისს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა** |

ვრცლად დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტისა და ცნობის შესახებ იხ. ცხრილი.

2021 წლის ნოემბერში ფრაქცია „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის“ და ფრაქცია „რეფორმების ჯგუფი“-ს გაუქმდა არასაკმარისი წევრების გამო, რადგან პარლამენტი დატოვა მამუკა ხაზარაძემ (ფრაქცია „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის“) და ზურაბ გირჩი ჯაფარიძემ (ფრაქცია „რეფორმების ჯგუფი“). რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ გაუქმებული ფრაქციის წევრები პოლიტიკურ ჯგუფებში გაერთიანდნენ.

# თავი 5. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

## 5.1 პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები

### დეპუტატის იმუნიტეტის საკითხი

2021 წლის 26 ივნისს პარლამენტმა მხარი დაუჭირა რეგლამენტში ცვლილებას, რომლის თანახმად, პარლამენტის წევრის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირად გაჩხრეკაზე თანხმობის მიცემის შესახებ, ასევე დაკავებული ან დაპატიმრებული პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების შეჩერების (დაკავების ან დაპატიმრების პერიოდით) შესახებ პარლამენტის დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედი.

წარმოდგენილი ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ის გამომდინარეობდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ჩართულობით საქართველოს პოლიტიკური პარტიების მიერ 2021 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებიდან.

5 ცვლილებების თანახმად, საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერი მცირდება 2%-მდე, 2024 წლამდე და 2024 წელს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგად არჩეულ პარლამენტში ფრაქციის წევრთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება 4 წევრით და მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტი გენერალურ პროკურორს აირჩევს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით.

6 იხ.: „აშშ-ის საელჩოს განცხადება https://bit.ly/3w4WafO კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება https://bit.ly/35Z8Da1; https://bit.ly/3Maneir; “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” შეფასება https://bit.ly/3EvLLMf, ევროკომისიის პრესსპიკერის პოზიცია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31357919.html, ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადება https://bit.ly/3MdI9Bb .

7 მოგვიანებით, ივნისში, თამარ კორძაიამ მოთხოვნა გაიწვია, რაც ახსნა 19 აპრილის შეთანხმებით და პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილებით, იხ. https://netgazeti.ge/news/547548/ .

### პოლიტიკური ჯგუფების შექმნა

პარლამენტმა მხარი დაუჭირა ინიციატივას, რომლის თანახმად, შეიქმნა ახალი საპარლამენტო სუბიექტი - პოლიტიკური ჯგუფი (არანაკლებ 4 წევრის შემადგენლობით). ჯგუფი სარგებლობს ფრაქციის უფლებებით, გარდა საქართველოს კონსტიტუციით ფრაქციისთვის განსაზღვრული უფლებებისა. მოგვიანებით, ოპოზიციონერი დეპუტატების წარდგენილი ინიციატივით, ჯგუფის შესაქმნელად საჭირო დეპუტატების რაოდენობა 2-მდე შემცირდა. 2021 წლის დეკემბერში კი, ოპოზიციონერი დეპუტატების ინიციატივით, მოიხსნა შეზღუდვა ბლოკის წარმომადგენლების მხრიდან პოლიტიკური ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით და მათაც მიეცათ არანაკლებ 2 დეპუტატის შემადგენლობით პოლიტიკური ჯგუფის შექმნის უფლება.

წარმოდგენილი ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან მიზნად ისახავს ოპოზიციონერი დეპუტატების ჯგუფისთვის უფლებამოსილების გაზრდას.

### საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს დეკლარაციის შევსების ვალდებულება დაეკისრა

2021 წლის დეკემბერში პარლამენტმა მხარი დაუჭირა საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ კანონში ცვლილებებს, რომელთა თანახმად თანამდებობის პირთა ჩამონათვალს დაემატა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, შესაბამისად, ამ პირებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ.

აღნიშნული ცვლილება არაერთხელ იყო ჩვენი ორგანიზაციის რეკომენდაცია, მისი მიღება პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ასევე აუცილებელი იყო ფრაქციის თავმჯდომარეების მოადგილეების მიმართაც დეკლარაციის შევსების ვალდებულების არსებობა.

## 5.2 პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს

### მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მექანიზმები

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, პირთა ჩამონათვალს, რომლებსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მონაწილეობისთვის მოეთხოვებათ სპეციალიზაციის გავლა, დაემატა ექსპერტიც, რომელსაც საექსპერტო კვლევიდან გამომდინარე უწევს არასრულწლოვან პირთან კომუნიკაცია. განისაზღვრა არასრულწოვანი მოწმისა და დაზარალებულის გამოკითხვის ახალი წესი მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს.

წარმოდგენილი ცვლილებები პოზიტიურად უნდა შეფასდეს. მათი პრაქტიკაში სათანადოდ აღსრულება შეამცირებს მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე არასრულწლოვანი პირებისთვის ზიანის მიყენების რისკებს. არასრულწლოვნის განმეორებით დაკითხვის საგამონაკლისო შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პროკურორის წინასწარი თანხმობის ნაცვლად, იყოს სასამართლოს თანხმობის საჭიროება, რაც არასრულწლოვნის უფლების დაცვის მეტი გარანტია იქნება.

### საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ზოგიერთი საკითხი

2021 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების პაკეტი, რომელთა მიზანიც საარჩევნო რეგულაციების გაუმჯობესება იყო. სამუშაო პროცესი რამდენიმე თვეს გრძელდებოდა და დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში, ასევე, აისახა პოლიტიკურ პარტიებს შორის 2021 წლის 19 აპრილს გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებებიც.

ცვლილებებით გაუმჯობესდა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი სამივე დონეზე: ადგილობრივ არჩევნებზე შემცირდა საარჩევნო ბარიერი, აიკრძალა საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების პოსტ-ფაქტუმ შესწორება, დაწესდა საარჩევნო უბნების ავტომატური გადათვლა, გაფართოვდა პირთა წრე, ვისაც სამუშაო საათებში აგიტაცია ეზღუდება, დაინერგა ელექტრონული საჩივრების სისტემა.

უარყოფითად შეფასდა ცესკოს პროფესიული წევრების დაკომპლექტების დროებითი წესი; საარჩევნო კომისიებში პარტიების მიერ წევრის დანიშვნის დროებითი წესები; ცესკოს თავმჯდომარისთვის დამატებითი მოადგილის პოზიციის შექმნა; საუბნო საარჩევნო კომისიაში ოპოზიციის მიერ დანიშნული წევრების ფუნქციების შეკვეცა.

## 5.3 ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებები

### ცესკოს თავმჯდომარის და წევრების არჩევის წესის შეცვლა

17 დეკემბერს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა პარლამენტის რეგლამენტში, ამით ფაქტობრივად გაუქმდა 28 ივნისის ცვლილებებით მიღებული ცესკოს დაკომპლექტების ზოგადი წესი, რომელიც, თავის მხრივ, 19 აპრილის პოლიტიკური პარტიების შეთანხმების აღსრულებას ემსახურებოდა. ცვლილებით არსებითად გაუარესდა პარლამენტის მიერ ცესკოს თავმჯდომარის და პროფესიული წევრების არჩევის პროცედურა.

მიღებული კანონით, თუ პირველ კენჭისყრაზე კანდიდატმა ვერ მიიღო პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა, შემდეგ კენჭისყრაზე, ყოველგვარი სავალდებულო დროის შუალედის გარეშე, პარლამენტი კანდიდატს თანამდებობაზე ირჩევს სრული შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით.

ამ პროცედურამ იმდენად გაამარტივა ცესკოს წევრობის კანდიდატის არჩევა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა კარგავს საპარლამენტო ოპოზიციასთან შეთანხმების ყოველგვარ მოტივაციას, რითაც საარჩევნო რეფორმის ეს ნაწილი ბოლომდე უფასურდება. ამის გამო, ფაქტობრივად, გაუქმდა აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შედეგად შემუშავებული წესი, რასაც გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინკლუზიურობა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა უნდა გაეზარდა.

### სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი

პარლამენტმა 2021 წლის დეკემბერში დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილებები, რომლის თანახმად გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და მის ნაცვლად შეიქმნა ორი სტრუქტურა: სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.

ცვლილებების ინიცირება არსებული გამოწვევების შესწავლისა და კონსულტაციების გარეშე განხორციელდა და დაჩქარებული წესით იქნა განხილული. მიუხედავად იმისა, რომ განმარტებით ბარათში კანონპროექტის ავტორები ეფექტურ რეფორმებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებზე აპელირებდნენ, წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი არ ეხმიანებოდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საქმიანობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს. ნამდვილი მიზანი კი, როგორც ჩანს, არა რეალური რეფორმის ჩატარება, არამედ სტრუქტურის მექანიკური დაშლა და თანამდებობაზე ახალი პირების არჩევა იყო.

### საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებები

2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ისეთ სენსიტიურ საკითხებს ითვალისწინებდა, როგორებიცაა: მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება; დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმის შემცირება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების თანამდებობაზე, ზედიზედ ორჯერ, ერთისა და იმავე პირის არჩევის აკრძალვის გაუქმება; მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ახლებური მოწესრიგება

კანონპროექტი კრიტიკულად შეაფასეს სამოქალაქო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო აქტორებმა, აგრეთვე თავად მოსამართლეთა ნაწილმა. ცვლილებებს უარყოფითი ეფექტი ექნება სასამართლო სისტემაში კრიტიკული და განსხვავებული აზრის არსებობაზე.

კანონპროექტი რიგგარეშე სესიაზე, საზოგადოებრივი ჩართულობისა და კონსულტაციების გამართვის გარეშე, დაჩქარებული წესით იქნა მიღებული. მსგავსი ცვლილებების მიღება შემდგარი დემოკრატიის მქონე ქვეყნებშიც კი საყოველთაო და საჯარო ფორმატში განხილვის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. შესაბამისად, საქართველოში, სადაც სასამართლო სისტემისადმი ნდობა უკიდურესად დაბალია, ასეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მეტი ინკლუზიურობითა და ღიაობით უნდა ხასიათდებოდეს.

### პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობაზე პასუხისმგებლობის გამკაცრება

2021 წლის აპრილში პარლამენტმა მხარი დაუჭირა ინიციატივას, რომლის თანახმადაც პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობაზე პასუხისმგებლობა გამკაცრდა. კერძოდ, დამძიმდა წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის მინიმალური ზღვარი, ასევე გამკაცრდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის და სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის პასუხისმგებლობა.

განხილვების ეტაპზე ვუთითებდით, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური კრიზისის ფონზე, მაშინ, როცა საზოგადოების პროტესტი იყო მზარდი, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა - უკიდურესად მძიმე, აღნიშნული ცვლილებები ტვირთად დააწვებოდა მოსახლეობას და ამდენად, შეიძლებოდა, სამოქალაქო სივრცის შეზღუდვისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეფასებულიყო.

## თავი 6. კანონშემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა და შეფასება

კანონშემოქმედებითი პროცესი, მეტწილად, მმართველი გუნდის პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად მიმდინარეობდა. საკანონმდებლო ცვლილებები, ხშირად, დაჩქარებული წესით, სამოქალაქო საზოგადოებისა და დაინტერესებული ჯგუფების სათანადო ჩართულობის გარეშე ხორციელდებოდა. ასევე ხშირი იყო კანონპროექტების განხილვის ვადის გაგრძელება და გადავადება დასაბუთებული არგუმენტაციის გარეშე.

### დაჩქარებული წესის მოთხოვნა დეპუტატების მიერ



- 95 მიღებულია დაჩქარებული წესით
- 7 არ იქნა მიღებული დაჩქარებული წესით
- 6 მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა
- 3 ავტორებმა ინიციატივა უკან გაიწვიეს
- 2 პლენარულ სხდომაზე განხილვა არ ყოფილა

### დაჩქარებული წესის მოთხოვნა (კანონპროექტების რაოდენობა) და ინიციატორები




### გამარტივებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები




მთავრობის მიერ წარდგენილ 9 საკანონმდებლო პაკეტთან (47კანონის პროექტი) დაკავშირებით განხილვის ვადის გაგრძელება 11-ჯერ იქნა გამოყენებული

პარლამენტის მიერ ინიცირებული **37** საკანონმდებლო პაკეტის (195 კანონის პროექტი) შემთხვევაში ვადის გაგრძელება **83**-ჯერ იქნა გამოყენებული;

აჭარის ა.რ უმაღლესი საბჭოს მიერ **1** საკანონმდებლო პაკეტის (3 კანონის პროექტი) შემთხვევაში განხილვის ვადა ერთხელ გადაიწია;

აფხაზეთის ა.რ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 1 საკანონმდებლო პაკეტის (5 კანონის პროექტი) შემთხვევაში განხილვის ვადა ერთხელ გადაიწია.

საანგარიშო პერიოდში განხილვის ვადა ყველაზე მეტჯერ (5-ჯერ) საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს და აღსრულების კოდექსს გაუგრძელდა.

2-ჯერ გაუგრძელეს ვადა ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის შესახებ საკანონმდებლო პაკეტს, რომლის ინიციატორი იყო ფრაქცია „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის“, ხოლო თანაავტორი - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“.[8]

# თავი 7. საპარლამენტო კონტროლი

## 7.1 მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება

2020 წლის 24 დეკემბერს, ოპოზიციური პარტიების ბოიკოტის ფონზე, პარლამენტმა ერთპარტიულად გამოუცხადა ნდობა მთავრობის ახალ შემადგენლობას. დანიშვნიდან ორ თვეში, 2021 წლის 18 თებერვალს, პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია თანამდებობიდან გადადგა. 22 თებერვალს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობის ახალ შემადგენლობას დაპრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი ღარიბაშვილს დაუჭირა მხარი. კენჭისყრა ოპოზიციის უდიდესი ნაწილის ბოიკოტის ფონზე ჩატარდა.

## 7.2 პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება

2021 წლის 31 მაისს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტს წერილობით წარუდგინა მთავრობის მოხსენება, რომელიც მოიცავდა ანგარიშს 2020-2021 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტის წინაშე ზეპირი მოხსენებით 25 ივნისს წარსდგა.

## 7.3 თანამდებობის პირთა არჩევა (დანიშვნაზე თანხმობის მიცემა)

საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა 21 პირის დანიშვნას დაუჭირა მხარი. დანართში იხილეთ თანამდებობაზე არჩეულ პირთა ჩამონათვალი.

აღსანიშნია, რომ ამ დრომდე არ არის დანიშნული **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი**. კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭო უნდა შედგებოდეს 15 წევრისგან, აქედან 5 არამოსამართლე წევრი პარლამენტის

8 საანგარიშო პერიოდის შემდეგ, აღნიშნული ინიციატივა, ფრაქციის დაშლის მერე ხელახლა წარადგინეს დეპუტატებმა ინდივიდუალურად.

მხრიდან აირჩევა. თუმცა ამ დრომდე არჩევის პროცესი არ დაწყებულა და საბჭო ფუნქციონირებს არამოსამართლე წევრების გარეშე.[9]

## 7.4 პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა პლენარულ სხდომაზე და ინტერპელაცია

- საანგარიშო პერიოდში, საკუთარი ინიციატივით, პლენარული სხდომის წინაშე გამოსვლის სურვილით პარლამენტს მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრმა მიმართა, 2021 წლის 13 ივლისს. მინისტრი გეგმავდა ქვეყანაში იმ პერიოდში მომხდარ მოვლენებზე (მათ შორის ჟურნალისტებზე 5 ივლისის ძალადობაზე) სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე მოხსენებით გამოსვლას. მინისტრის მოსმენა 18 ივლისს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე იყო დაგეგმილი, თუმცა სხდომაზე ოპოზიციის პროტესტის გამო მინისტრის მოსმენა არ შედგა.
- კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით (მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ⅓-ისა), ანგარიშვალდებული პირი პარლამენტის სხდომაზე არ მოუწვევიათ.
- საანგარიშო პერიოდში ინტერპელაციის წესით შეკითხვის დასმის შესაძლებლობა პარლამენტის წევრებმა მხოლოდ 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე გამოიყენეს. საანგარიშო პერიოდში კანონი იძლეოდა შესაძლებლობას, გამართულიყო 4 ინტერპელაცია, თუმცა ამ პერიოდში არცერთი ინტერპელაცია არ ჩატარებულა.

| საანგარიშო პერიოდში ინტერპელაციის წესით გაგზავნილი კითხვები | | |
|---|---|---|
| **ადრესატი** | **საკითხი** | **კითხვის ავტორი** |
| პრემიერ-მინისტრი - **ირაკლი ღარიბაშვილი** | 1. ინფლაცია;<br>2. პანდემიის დროს მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა;<br>3. საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია<br>4. პენსიების ექსკლუზიურად ლიბერთი ბანკის მიერ გაცემა, პენსიონერების სესხების მაღალი პროცენტები. | პარლამენტის წევრთა **7 კაციანი ჯგუფი** (*თეონა აქუბარდია, გრიგოლ ვაშაძე, გიორგი ვაშაძე, დავით ბაქრაძე, ხათუნა სამნიძე, პაატა მანჯგალაძე, ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე*) |
| განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი - **მიხეილ ჩხენკელი** | 1. განათლების დონის გაუარესება;<br>2. ზოგადი განათლების საკითხები;<br>3. დისტანციური სწავლების პრობლემები. | |
| საგარეო საქმეთა მინისტრი - **დავით ზალკალიანი** | 1. დეოკუპაციის სტრატეგია;<br>2. ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვის სტრატეგია;<br>3. ევროკავშირში წევრობაზე განაცხადის გაკეთების სამუშაო პროცესი;<br>4. საქართველო-აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პროცესი;<br>5. ოკუპირებული რეგიონებიდან ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს რეზოლუციაზე მუშაობის დეტალები. | |
| ფინანსთა მინისტრი - **ლაშა ხუციშვილი** | 1. მთავრობის პოზიცია ერ. ბანკის მონეტარული პოლიტიკზე;<br>2. საწვავის მაღალი აქციზი;<br>3. ტურიზმის ვარდნის შედეგად გამოწვეული ვალუტის დეფიციტის შემცირება;<br>4. მთავრობის ვალის ზრდა. | |

## 7.5 მინისტრის საათი

2021 წლის მინისტრის საათის განრიგი ბიურომ 1 თებერვალს დაადგინა, რომელშიც მოგვიანებით სამი ცვლილება შევიდა.[10] საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 13 მინისტრის საათი განრიგის მიხედვით.

---

9 ასევე იხ. „ელჩების გაფრთხილება - დანიშვნების პროცესი სასამართლო სისტემაში მაინც გრძელდება", მაისი 24, 2021, https://www.radiotavisupleba.ge/a/31271230.html; „კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განახლებულ შემადგენლობას მიმართავს", 3 ივლისი 2017, http://coalition.ge/index.php?article_id=161&clang=0

10 ცვლილებები შევიდა ბიუროს შემდეგი გადაწყვეტილებებით: 15 მარტის N34/16, 7 სექტემბრის N84/25, 8 ნოემბრის N91/25.

## 7.6 პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა კომიტეტის სხდომაზე

საანგარიშო პერიოდში სულ 19 შემთხვევაში მოხდა თანამდებობის პირის სხვადასხვა კომიტეტის სხდომაზე დაბარება. 7 შემთხვევაში დაბარება მოხდა კომიტეტის მიერ. 12 შემთხვევაში ოპოზიციურმა ფრაქციებმა დაიბარეს კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირები, რომლებიც სხდომაზე არ გამოცხადდნენ. უმრავლესობის ფრაქციას კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირი არ დაუბარებია.

| საანგარიშო პერიოდში პარლამენტის კომიტეტების სხდომებზე ოპოზიციური ფრაქციის ინიციატივით დაბარებული თანამდებობის პირები | | | |
|---|---|---|---|
| **ინიციატორი** | **მოწვეული პირი** | **კომიტეტი** | **კომიტეტის სხდომის თარიღი/ კომენტარი** |
| ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ (03.06.2021) | ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **ეკატერინე ტიკარაძე**<br>იუსტიციის მინისტრი - **რატი ბრეგაძე**<br>საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი - **ვახტანგ გომელაური** | ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | არ გამოცხადდა[11] |
| ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“(23.06.2021) | ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **ეკატერინე ტიკარაძე** | ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | არ გამოცხადდა[12] |
| ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“(23.06.2021) | შინაგან საქმეთა მინისტრი - **ვახტანგ გომელაური** | ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | არ გამოცხადდა[13] |
| ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“(06.07.2021) | შინაგან საქმეთა მინისტრი **- ვახტანგ გომელაური** | ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | არ გამოცხადდა |
| ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“ 18.06.2021 | ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **ეკატერინე ტიკარაძე** | ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | არ გამოცხადდა[14] |
| ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ (31.05.2021) | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - **ნათელა თურნავა**<br>იუსტიციის მინისტრი - **რატი ბრეგაძე**<br>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - **ლევან დავითაშვილი** | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი | არ გამოცხადდა |

11 პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაბარებული თანამდებობის პირები მზად არიან ინიციატორის სურვილის შემთხვევაში, თარიღთან დაკავშირებით კონსულტაცია გააგრძელონ.

12 ამ შემთხვევაში კანონი არ დარღვეულა, რადგან პარლამენტის რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რეგლამენტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება და პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში კომიტეტის სხდომაზე გამოცხადების ვალდებულება აღარ არსებობს.

13 იხ. წინა სქოლიო.

14 პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობდა კონსულტაცია თარიღთან დაკავშირებით, თუმცა ზემოაღნიშნული ფრაქციის გაუქმების გამო საკითხი ღიად დარჩა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფის“(24.06.2021) | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - **ნათელა თურნავა** | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი | არ გამოცხადდა |
| ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ (01.09.2021) | კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი - **თეა წულუკიანი** | კულტურის კომიტეტი | არ გამოცხადდა[15] |

## 7.7 პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ანგარიშის მოსმენა

საანგარიშო პერიოდში პარლამენტში სულ **21 ანგარიში** შევიდა, მათგან **10** ანგარიში საანგარიშო პერიოდში ჯერ კიდევ განუხილველი იყო: იურიდიული დახმარების სამსახური; კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი; იუსტიციის სამინისტროს 2 ანგარიში[16]; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური; საზოგადოებრივი მაუწყებელი; გენერალური პროკურორი; საპენსიო სააგენტო; კომუნიკაციების ეროვნული კომისია; ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

## 7.8 პარლამენტის წევრის კითხვა[17]













15 პარლამენტისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, კომიტეტის სხდომაზე მინისტრის მოსმენა აღარ შედგა, ვინაიდან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მინისტრის საათის ფორმატში მინისტრმა ისაუბრა აღნიშნულ საკითხებზე.

16 1. 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (დასრულებული საქმეები). 2. 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები). 2020 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

17 მონაცემები აღებულია 2022 წლის 31 იანვრის მდგომარეობით.

## ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვის ავტორთა ათეული



**სარჯველაძე მიხეილ** (უმრავლესობა) — 334



**იოსელიანი ლევან** (ოპოზიცია) — 237



**დეკანოიძე ხატია** (ოპოზიცია) — 233



**აქუბარდია თეონა** (ოპოზიცია) — 152



**სეფაშვილი ეკა** (უმრავლესობა) — 133



**გოცირიძე რომან** (ოპოზიცია) — 127



**ელისაშვილი ალექსანდრე** (ოპოზიცია) — 112



**კორძაია თამარ** (ოპოზიცია) — 101



**სამნიძე ხათუნა** (ოპოზიცია) — 95



**წილოსანი ნინო** (უმრავლესობა) — 89

| თანამდებობის პირები, რომლებმაც ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვა დატოვეს უპასუხოდ | |
|---|---|
| კასპის მუნიციპალიტეტის მერი - ვახტანგ მაისურაძე | 9 |
| მესტიის მუნიციპალიტეტის მერი - კაპიტონ ჟორჟოლიანი | 8 |
| წალკის მუნიციპალიტეტის მერი - ილია საბაძე | 7 |
| ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი - ბადრი ლიპარტელიანი | 7 |
| ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით შერაზადიშვილი | 7 |
| გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი - რამაზ ბუდაღაშვილი | 6 |
| ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი - ალექსანდრე ზაგაშვილი | 6 |
| საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი - თეა წულუკიანი | 5 |

## 7.9 დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა

საანგარიშო პერიოდში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე 3 მოთხოვნა იყო დაყენებული, ხოლო სხვა დროებითი კომისიის შექმნის შესახებ - 1.

| პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასახელება და ინიციატორი |
|---|
| „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ."<br><br>ფრაქცია „ქართული ოცნება"<br><br>✔ **შეიქმნა**[18] |
| ელიტური კორუფციის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ<br><br>ფრაქცია „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის"<br><br>✘ **არ შექმნილა** |
| „2021 წლის 5-6 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ."<br><br>ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი"<br><br>✘ **არ შექმნილა** |

| სხვა დროებითი კომისია |
|---|
| ,,საერთო სასამართლოებში კლანური მმართველობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი კომისია".<br><br>ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"<br><br>✘ **არ შექმნილა** |

## 7.10 კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლი

**შემოწმდა კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული 173 დავალების შესრულების მდგომარეობა**

| შესრულებულია - 91 ✔ | შეუსრულებელია - 82 ✘ |
|---|---|

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსრულებელი იყო, ამ საფუძვლით საპარლამენტო კონტროლის სხვა მექანიზმების გამოყენება არ მომხდარა (მაგ.: პასუხისმგებელი აღმასრულებელი თანამდებობის მქონე პირის დაბარება, ინტერპელაცია, იმპიჩმენტის პროცედურის ინიცირება და ა.შ.).

18 კომისია შედგებოდა 4 წევრისაგან, საიდანაც ორი წევრი მმართველ პარტიას წარმოადგენდა, ხოლო 2 დამოუკიდებელი დეპუტატი იყო. კომისიამ მუშაობა 26 ივლისს დაასრულა და მიიღო დასკვნა, რომლის თანახმადაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები თავისუფალ გარემოში და კანონის შესაბამისად ჩატარდა, დასკვნა პარლამენტმა დადგენილების სახით მიიღო. დადგენილებას მხარი დაუჭირეს მმართველმა პარტიამ და პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები"-ს ერთმა წევრმა.

## 7.11 ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი

| პარლამენტის კომიტეტები, რომლებმაც გამოიყენეს ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მექანიზმი | |
|---|---|
| **აგრარულ საკითხთა კომიტეტი** | „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონი |
| **ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი** | 1. ბავშვის უფლებათა კოდექსი<br>2. „სოციალური მუშაობის შესახებ“კანონი; ბავშვის უფლებათა კოდექსი<br>3. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“კანონი |
| **საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი** | 1. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“<br>2. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“<br>3. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“მთავრობის ანგარიში-<br>4. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში<br>5. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“მთავრობის ანგარიში<br>6. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“<br>7. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში“.<br>8. „საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის წლიური ანგარიში“.<br>9. „საპენსიო სააგენტოს 2020 წლის ანგარიში“.<br>10. საზოგადოებრივი მაუწყებლის 2020 წლის ანგარიში.<br>11. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვა“<br>12. საპენსიო სააგენტოს მიერ 6 თვის საქმიანობის მიმოხილვა.<br>13. ფინანსური მომსახურების, დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2020 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. |
| **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი** | 1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“კანონი<br>2. „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“კანონი |

## 7.12 სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე მოხსენება პარლამენტს 20 მაისს გადაუგზავნა, ხოლო მთავრობამ, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში – 28 მაისს. პარლამენტმა ანგარიში და მოხსენება ერთად განიხილა, კომიტეტებმა დასკვნები კანონის ვადის დაცვით გამოაქვეყნეს, ყველა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მთავრობის ანგარიშს და აუდიტის მოხსენებას. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნა 21 ივნისს გამოქვეყნდა. დასკვნამ გაიზიარა აუდიტის სამსახურის მოხსენებაში არსებული რეკომენდაციები და მხარი დაუჭირა ანგარიშის დამტკიცებას პლენარულ სხდომაზე. 26 ივლისს, პლენარულ სხდომაზე განხილვის შედეგად, პარლამენტმა დადგენილებით დაამტკიცა მთავრობის ანგარიში საქართველოს 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

| სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის წარდგენა | | |
|---|---|---|
| **3 თვის ანგარიში** | **6 თვის ანგარიში** | **9 თვის ანგარიში** |
| 29 აპრილი | 31 ივლისი | 31 ოქტომბერი |

## 7.13 ნდობის ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში ნდობის ჯგუფის სრულად ფორმირება არ მომხდარა. ნდობის ჯგუფს, რომელიც თავდაცვისა და უსაფრთოების სექტორს აკონტროლებს, მხოლოდ მმართველი პარტიის 3 წარმომადგენელი წევრი ყავდა. ოპოზიციამ ნდობის ჯგუფის წევრობის კანდიდატები წარადგინა სამჯერ, თუმცა არცერთი წევრის შესახებ ინფორმაცია პარლამენტს ცნობად არ მიუღია და შესაბამისად, წარდგენილ დეპუტატებს არ მიეცათ ნდობის ჯგუფში მუშაობის შესაძლებლობა.[19]

| ნდობის ჯგუფის აქტივობები |
|---|
| 2020 წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს შემდეგმა უწყებებმა:<br>დაზვერვის სამსახური<br>შინაგან საქმეთა სამინისტრო<br>თავდაცვის სამინისტრო<br>სპეციალური პენიტენციური სამსახური<br>სახელმწიფო უსაფთხოების სამსახური<br>სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური |
| სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ 2021 წლის აპრილში წარადგინა გაწეული საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში |
| ნდობის ჯგუფის წევრებმა განახორციელეს 20 ვიზიტი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში |
| ორჯერ განხორციელდა სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმება |

## 7.14 თემატური მოკვლევა

საანგარიშო პერიოდში 19 თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა,[20] 8 შემთხვევაში მომზადდა დასკვნა/ანგარიში, ხოლო 11 შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯგუფებს მუშაობა არ ჰქონდათ დასრულებული. ვრცლად ინფორმაცია იხ. დანართში.

# თავი 8. ქალების მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში

საანგარიშო პერიოდში, პარლამენტში, **27** ქალი დეპუტატი იყო. აქედან 4 - კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა:




*ნინო წილოსანი* ასევე იყო გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე.

ოპოზიციის წარმომადგენლებიდან, *ხატია დეკანოიძე* ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარეა, ხოლო - *ხათუნა სამნიძე* პოლიტიკური ჯგუფის - „რეფორმების ჯგუფის“ თავმჯდომარე.

19 ოპოზიციის მიერ წარდგენილი კანდიდატები: https://info.parliament.ge/#law-drafting/22353; https://info.parliament.ge/#law-drafting/22380 ; https://info.parliament.ge/#law-drafting/23278

20 მონაცემები ეყრდნობა პარლამენტის ვებგვერდზე არსებულ მონაცემებს და კომიტეტებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას.

**ქალი პარლამენტის წევრების განაწილება პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით**




**დაჩქარებული წესის მოთხოვნა (კანონპროექტების რაოდენობა) და ინიციატორები**




რაც შეეხება პარლამენტის აპარატის თანამდებობების განაწილებას გენდერული ნიშნით, 688 პირიდან უმეტესობა, კერძოდ, **441** ქალია.

# თავი 9. პარლამენტის საბჭოებისა და კომისიების საქმიანობა

პარლამენტის მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოებია:

- ► *გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო*
- ► *ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო*
- ► *ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო*

*პარლამენტში შეიქმნა ეთიკის საბჭო და ასევე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისია.*

➢ ***გენდერული თანასწორობის საბჭო***

საბჭო შედგება 19 წევრისგან, რომელთაგან 12 უმრავლესობას, ხოლო 7 ოპოზიციას წარმოადგენს.

| | **გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტივობა** |
|---|---|
| | ჩატარდა **8** სხდომა და **140** სამუშაო შეხვედრა. |
| | საბჭომ **58** ფორუმსა და კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სექსუალური ძალადობის გამოძიება, ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და სხვა. |
| | ჩატარდა 3 თემატური მოკვლევა. |
| | დაიწყო წინა წლებში განხორციელებული **3** თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.[21] |
| | საბჭომ მოამზადა ანგარიში ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ და 2021 წლის დეკემბერში წარადგინა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. |
| | მომზადდა საბჭოს 2017–2020 წლების საქმიანობის შეფასებისა და სამომავლო რეკომენდაციების შესახებ ანგარიში. |
| | განიხილა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წერილობითი მიმართვა, რომელიც შეეხებოდა 18 ივლისს პლენარულ სხდომაზე ოპოზიციონერ დეპუტატ თინა ბოკუჩავასა და უმრავლესობის წევრ შალვა პაპუაშვილს შორის მომხდარ ინციდენტს. |
| | საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა კანონპროექტების ან სხვა ნორმატიული აქტების პროექტების გენდერული ექსპერტიზა, თუმცა 2021 წელს საბჭოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, გენდერული გავლენის ანალიზის ინსტიტუციონალიზაციის ფორმის შესამუშავებლად. 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა. |

21 მონიტორინგი ეხებოდა შემდეგ თემატიკას: სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა; პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობა.

| გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობა საკანონმდებლო მიმართულებით |
| --- |
| საანგარიშო პერიოდში საბჭოს სხდომაზე არ მომხდარა უკვე მომზადებული კანონპროექტის განხილვა, თუმცა საბჭო აქტიურად მუშაობდა შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებზე:<br>► გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფცია<br>► ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია<br>► საკანონმდებლო ინიციატივა გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) დანერგვის შესახებ<br>► მსხვერპლის სტატუსის გაუქმება, როგორც თავშესაფრის სერვისებით სარგებლობის წინაპირობა<br>► მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოების საკითხი<br>► არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი"-ს მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" კანონში ცვლილების თაობაზე |

### ► ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

X მოწვევის პარლამენტში ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შეიქმნა 2021 წლის 21 იანვარს, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. საბჭო შედგება 19 წევრისგან, რომელთაგან 11 საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენს, 7 - ოპოზიციას, 1 კი უფრაქციო პარლამენტის წევრია.

ღია პარლამენტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა 2021 წლის 6 ივლისს, რომელიც საკონსულტაციო ჯგუფის აქტიური ჩართულობით ჩამოყალიბდა, შედგება 19 ვალდებულებისაგან (3-ის თანაინიციატორი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"-ა)

სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით, 2021 წლის ოქტომბერში, დაინიცირდა რეგლამენტში ცვლილებები, რომელიც შეეხებოდა კომიტეტის სხდომის ოქმებისა და აუდიო ჩანაწერების გამოქვეყნების წესს და ასევე, სამუშაო ჯგუფების ფორმირების საკითხებს.

აღნიშნული ინიციატივა ორი მოსმენით არის მიღებული და მისი განხილვა შეჩერებულია. მიზანშეწონილია, რომ ეს დადებითი ცვლილებები პარლამენტმა დროულად მიიღოს.

პარლამენტის ღიაობის მიმართულებით კვლავ გამოწვევას წარმოადგენს შენობაში შესვლის აკრძალვის საკითხიც. უარის თქმა დაუსაბუთებლად, მხოლოდ პარლამენტის უსაფრთხოების ზოგადი წესებზე მითითებით ხდება.[22]

საბჭოს მუშაობის თაობაზე  უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით ჯგუფების მუშაობა მეტ აქტიურობას საჭიროებს, რათა დროულად მოხდეს გეგმით გათვალისწინებული საკითხების ამოქმედება.

### ► ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

X მოწვევის პარლამენტში ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შეიქმნა პარლამენტის თავმჯდომარის 2021 წლის 22 იანვრის ბრძანებით, რომელიც შედგება 11 პარლამენტის წევრისგან: 7 წევრი უმრავლესობას, ხოლო 4 წევრი ოპოზიციას წარმოადგენს.

| |
| --- |
| 12 თებერვალს საბჭომ გამართა პირველი სხდომა, რომელზეც შეიმუშავა საბჭოს დებულების პროექტი. |
| 2021 წლის 7 ოქტომბერს საბჭომ მიიღო სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2021-2022 წლებში განსახორხციელებელ აქტივობებს. |
| საბჭომ 2021 წლის დეკემბერს შეასრულა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პირველი ამოცანა, კერძოდ, შექმნილია ბავშვის უფლებების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების რეესტრი, რომელიც მოიცავს საერთაშორისო აქტებს და ეროვნულ, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტებს. |

### ► ეთიკის საბჭო

2021 წლის 4 თებერვლის ბრძანებით შეიქმნა ეთიკის საბჭო. თავდაპირველად შემადგენლობა 8 წევრით განისაზღვრა, ხოლო შემდგომ - 14 წევრით. მას შემდეგ, რაც რეგლამენტით განისაზღვრა ახალი სუბიექტი - პოლიტიკური ჯგუფი, მისი გათვალისწინება მოხდა ასევე ეთიკის საბჭოს შემადგენლობაშიც და განისაზღვრა, რომ  პოლიტიკური ჯგუფი ისარგებლებს ეთიკის კოდექსით განსაზღვრული იმავე უფლებებით, რომლებითაც სარგებლობს ფრაქცია.

ჯერ კიდევ 2019 წელს მიიღეს ეთიკის საბჭოს დებულება და სხვადასხვა დოკუმენტების სპეციალური ფორმები, თუმცა საბჭოს შემადგენლობა ამ დრომდე არ არის დაკომპლექტებული, შესაბამისად, ეთიკის საბჭო არ ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანია, რომ დროულად მოხდეს საბჭოს დაკომპლექტება და დაიწყოს ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევებზე რეაგირება.

22 ქალთა უფლებადამცველი NGO-ები პარლამენტში არ შეუშვეს, 22 ივლისი, 2021, https://bit.ly/3ucRKlx

# თავი 10. პარლამენტის წევრთა აქტივობა

ოპოზიციის უმეტესი ნაწილი ან ოფიციალურად უარს აცხადებდა პოლიტიკური მოსაზრების გამო სხდომებში მონაწილეობაზე (ბოიკოტი) ან არ ესწრებოდა სხდომებს.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის **12** წევრს (11 ოპოზიციას წარმოადგენს, 1 უმრავლესობას) არც სიტყვით გამოსვლის უფლებით უსარგებლია და არც საკანონმდებლო ინიციატივა წარუდგენია. ეს დეპუტატებია:




## 10.1. ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები[25]

**პარლამენტის წევრების მიერ დაინიცირებულია 319 კანონის პროექტი, მათ შორის:**



| | |
|---|---|
| 276 | უმრავლესობის დეპუტატების ინიციატივა |
| 41 | ოპოზიციის წარმომადგენლების ინიციატივა (მათ შორის 5 უმრავლესობასთან ერთად) |
| 2 | საკონსტიტუციო ცვლილებები (უმრავლესობა და ოპოზიცია) |

დიაგრამაში იხილეთ ინფორმაცია დეპუტატების მიერ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობის შესახებ.[26]

23 შალვა ნათელაშვილს საჯაროდ ჰქონდა გაცხადებული, რომ პარლამენტის საქმიანობაში არ მიიღებდა მონაწილეობას და იყო ბოიკოტის რეჟიმში, თუმცა ოფიციალურად ბოიკოტის შესახებ განცხადება გაფორმებული არ ჰქონდა.

24 ელენე ხოშტარიას საჯაროდ ჰქონდა გაცხადებული, რომ პარლამენტის საქმიანობაში არ მიიღებდა მონაწილეობას და იყო ბოიკოტის რეჟიმში, თუმცა ოფიციალურად ბოიკოტის შესახებ განცხადება გაფორმებული არ ჰქონდა.

25 წარმოდგენილ სტატისიკაში არ იგულისხმება საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ 2 ინიციატივა, რომელთა ინიციატორები იყვნენ პარლამენტის 85 წევრი, ხოლო მეორე შემთხვევაში პარლამენტის 91 წევრი.

26 წითელი ფერით მონიშნულნი არიან ოპოზიციის წარმომადგენლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი ნაწილი თებერვლამდე უმრავლესობის შემადგენლობაში იყო. 2021 წლის თებერვალში, გახარიას გადადგომის შემდეგ, პარლამენტში უმრავლესობა დატოვა 6-მა დეპუტატმა, ესენი იყვნენ: **გიორგი ხოჯევანიშვილი, ანა ბუჩუკური, ალექსანდრე მოწერელია, ბექა ლილუაშვილი, შალვა კერესელიძე, მიხეილ დაუშვილი.**




საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება არ გამოიყენა პარლამენტის **53-მა წევრმა**. ვრცლად ინიციატივებზე იხ. ცხრილი.

## 10.2 მიღებული კანონების რაოდენობა[27]




ვრცლად ინფორმაცია იხ. ცხრილში.

27 წითელი ფერით მონიშნულნი არიან ოპოზიციის წარმომადგენლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი ნაწილი თებერვლამდე უმრავლესობის შემადგენლობაში იყო. 2021 წლის თებერვალში, გახარიას გადადგომის შემდეგ, პარლამენტში უმრავლესობა დატოვა 6-მა დეპუტატმა, ესენი იყვნენ: **გიორგი ხოჯევანიშვილი, ანა ბუჩუკური, ალექსანდრე მოწერელია, ბექა ლილუაშვილი, შალვა კერესელიძე, მიხეილ დაუშვილი.**

## 10.3 სიტყვით გამოსვლის რაოდენობა

სიტყვით გამოსვლის უფლებით პარლამენტის 132-მა წევრმა ისარგებლა. საანგარიშო პერიოდში სიტყვით ყველაზე მეტჯერ გამოვიდნენ:






სიტყვით გამოსვლის უფლებით საერთოდ არ უსარგებლიათ შემდეგ დეპუტატებს:


**გიორგი გოდაბრელიძე**
**(ოპოზიცია)**


**სამველ მანუკიანი**
**(უმრავლესობა)**


**ელგუჯა გოცირიძე**
**(უმრავლესობა)**


**კახაბერ ოქრიაშვილი**
**(ოპოზიცია)**


**ლევან ვარშალომიძე**
**(ოპოზიცია)**


**დიმიტრი სამხარაძე**
**(უმრავლესობა)**


**ედიშერ თოლორაია**
**(უმრავლესობა)**


**გოდერძი ჩანქსელიანი**
**(უმრავლესობა)**


**აბდულა ისმაილოვი**
**(ოპოზიცია)**


**ვასილ ჩიგოგიძე**
**(უმრავლესობა)**


**მანუჩარ კვირკველია**
**(ოპოზიცია)**


**დილარ ხაბულიანი**
**(ოპოზიცია)**


**ვახტანგ კიკაბიძე**
**(ოპოზიცია)**


**ირაკლი ხახუბია**
**(უმრავლესობა)**


**სუმბატ კიურეღიანი**
**(უმრავლესობა)**


**ელენე ხოშტარია**
**(ოპოზიცია)**[28]


**ზაალ მიქელაძე**
**(უმრავლესობა)**


**ვიქტორ ჯაფარიძე**
**(უმრავლესობა)**


**შალვა ნათელაშვილი**
**(ოპოზიცია)**[29]


**ზურაბ გირჩი ჯაფარიძე**
**(ოპოზიცია)**


**რამაზ ნიკოლაიშვილი**
**(ოპოზიცია)**

სრულად, სიტყვით გამოსვლების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

28 ელენე ხოშტარიას საჯაროდ ჰქონდა გაცხადებული, რომ პარლამენტის საქმიანობაში არ მიიღებდა მონაწილეობას და იყო ბოიკოტის რეჟიმში, თუმცა ოფიციალურად ბოიკოტის შესახებ განცხადება გაფორმებული არ ჰქონდა.

29 შალვა ნათელაშვილს საჯაროდ ჰქონდა გაცხადებული, რომ პარლამენტის საქმიანობაში არ მიიღებდა მონაწილეობას და იყო ბოიკოტის რეჟიმში, თუმცა ოფიციალურად ბოიკოტის შესახებ განცხადება გაფორმებული არ ჰქონდა.

## 10.4. პარლამენტის წევრების შენიშვნები კანონპროექტების შესახებ[30]




ვრცლად იხ. ცხრილი.

## 10.5. პარლამენტის წევრთა მივლინებები

მივლინებაში იმყოფებოდა **47** პარლამენტის წევრი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა **766,860.60** ლარი.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას პარლამენტის წევრების სამსახურებრივი მივლინებების რაოდენობისა და პარლამენტის მიერ მათზე გაწეული ხარჯების შესახებ.[31] აღსანიშნია, რომ ზოგჯერ, პარლამენტის წევრის მივლინებების რაოდენობა და ხანგრძლივობა განპირობებული იყო მისი თანამდებობით ან შესაბამისი კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით. მივლინებების შესახებ ვრცლად ინფორმაცია იხ. ცხრილში.

# თავი 11. პარლამენტის წევრების მონაწილეობა პლენარული სხდომებისა და კომიტეტების სხდომების მუშაობაში, მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი

## 11.1 პლენარული და კომიტეტების სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა[32]

დიაგრამაზე იხილეთ ინფორმაცია ინფორმაცია პარლამენტის წევრების მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კომიტეტების სხდომების რაოდენობის (5-ზე მეტი) შესახებ. მომდევნო დიაგრამაზე კი მოცემულია პარლამენტის წევრების მიერ პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით ყველაზე მეტი გაცდენის შესახებ.

30 წყარო: პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი www.parliament.ge

31 პარლამენტის მიერ გაწეული ხარჯების გარდა, დეპუტატების მივლინებებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში, ხდება თანადაფინანსება საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ.

32 ელენე ხოშტარიასა და შალვა ნათელაშვილს საჯაროდ ჰქონდათ გაცხადებული, რომ პარლამენტის საქმიანობაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას და ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ, თუმცა ოფიციალურად ბოიკოტის შესახებ განცხადება გაფორმებული არ ჰქონდათ.







დამატებითი ინფორმაცია იხ. ცხრილში.

## 11.2 დისციპლინური პასუხისმგებლობა[35]

პარლამენტის 59 წევრს (საიდანაც 2 უმრავლესობის დეპუტატია, ხოლო დანარჩენი ოპოზიციას წარმოადგენს), საერთო ჯამში, ხელფასიდან 1105617.42 ლარი დაუკავდათ, ძირითადად სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო. ვრცლად ინფორმაცია იხილეთ ცხრილში[36]:

# თავი 12. პარლამენტის კომიტეტების საქმიანობა

პარლამენტში შეიცვალა კომიტეტების რაოდენობა. კერძოდ, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის გაყოფის შედეგად შეიქმნა ცალკე განათლებისა და მეცნიერების და ცალკე კულტურის კომიტეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კომიტეტის შექმნა დაუსაბუთებელი იყო და რეალურად არ პასუხობდა საკანონმდებლო ორგანოში არსებულ გამოწვევებს.

33 შალვა ნათელაშვილს საჯაროდ ჰქონდა გაცხადებული, რომ პარლამენტის საქმიანობაში არ მიიღებდა მონაწილეობას და იყო ბოიკოტის რეჟიმში, თუმცა ოფიციალურად ბოიკოტის შესახებ განცხადება გაფორმებული არ ჰქონდა.

34 ელენე ხოშტარიას საჯაროდ ჰქონდა გაცხადებული, რომ პარლამენტის საქმიანობაში არ მიიღებდა მონაწილეობას და იყო ბოიკოტის რეჟიმში, თუმცა ოფიციალურად ბოიკოტის შესახებ განცხადება გაფორმებული არ ჰქონდა.

35 პარლამენტის რეგლამენტი, 204-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=27

36 წითელი ფერით აღნიშნულია ოპოზიცია.




**საკანონმდებლო წინადადებების განხილვა**

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის ბიუროს 122 საკანონმდებლო წინადადება წარედგინა. 7 წინადადება კომიტეტებმა მოიწონეს.[37]

უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოიწონა ისეთი საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელისშემშლელია[38] და მათი ავტორები (მაგ. პოლიტიკური გაერთიანება ქართული დასი[39]) ლიბერალი ჯგუფების მიმართ რადიკალური რიტორიკით გამოირჩევიან.

ამის პარალელურად კომიტეტებმა არ მოიწონეს სახალხო დამცველის[40] და სახელმწიფო ინსპექტორის[41] საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც შემუშავდა პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით და ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვასა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერებას.

დანართი. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობა

37 მონაცემები ეფუძნება პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას.

38 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დადებითი დასკვნა შპს „ალმას“ (გიორგი ტრაპაიძე) მიერ წარმოდგენილ წინადადებაზე, საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე (რომელიც შეეხებოდა სიძულვილის ენის რეგულირებას).

39 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დადებითი დასკვნა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“ს (ჯონდო ბაღათურია) მიერ წარმოდგენილ წინადადებაზე (შეთავაზებული წინადადებით, სისხლის სამართლის კოდექსში უნდა აღდგეს სახელმწიფო ღალატის შესახებ მუხლი).

40 სახალხო დამცველის წინადადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ; წინადადება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონში ცვლილებებზე

41 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წინადადება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ და თანმდევ კანონებში ცვლილებების თაობაზე.